„ინტერნაციონალიზმი ვითარდება და მკვიდრდება მხოლოდ ხალხთა სრული ორმხრივი ნდობის პირობებში."

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36 (6847)

1981 წ. 19 თებერვალი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად!

„საქართველოს დიდი რკალი"

სამხრეთ ოსეთი: შემდგომი ზრდის კარგი პერსპექტივა

სამხრეთ ოსეთში აღზრდილმა სპორტსმენებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის და ქვეყნის სპორტულ წარმატებებში. აქაურმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს სპორტის ისტორიაში. ჯერ კიდევ 30-იან წლებში 500 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა ნუშკი ბესთაევამ, ამავე სახეობაში ჩემპიონი გახდა იასონ თედეევი. უფრო მაღალი შედეგების მიღწევაში მათ დიდმა სამამულო ომმა შეუშალა ხელი. ორივე ჩემპიონი ფრონტზე გაეშურა. იასონი გმირულად დაიღუპა...

ომისშემდგომ წლებში მასობრივი გახდა ფეხბურთი, ტანვარჯიში. ადრეც და შემდეგაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართული ჭიდაობა, რომელმაც თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა სხვა სტილით მოჭიდავეების წარმატებებს. საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები: მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გახდა სერგო გაბარაევი, მსოფლიო ჩემპიონი— ალიბეგ ბესტაევი, ევროპის ჩემპიონობა მოიხვეჭა ანდო ცხოვრებოვმა, აგრეთვე გრიგოლ კოჩიევმა. როდესაც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა დიდი ხნის სანუკვარი ოცნება—ოქროს მედლები მოიპოვეს, მათ რიგებში იყო ცხინვალელი გურამ ცხოვრებოვიც...

დღეს რუბრიკის ქვეშ — „საქართველოს დიდი რკალი" გთავაზობთ სამხრეთ ოსეთის სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს, მოგითხრობთ მათ წარმატებებსა და პრობლემებზე.

• •

ფიზიკური აღზრდის კონკრეტული შინაარსი

ზ. გუკაევი,

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

□

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურის საბჭო, გაჩნდა ფეხბურთის მოედანი, იპოდრომი, ჩამოყალიბდა მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და ცხენოსნობის სექციები. მოეწყო საოლქო შეჯიბრებები. სარბიელზე გამოვიდნენ პირველი სპორტსმენი ქალები.

შემდგომ პერიოდში ფიზკულტურამ და სპორტმა ოლქში თანდათან მიიღო მასობრივი ხასიათი და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყოველმხრივი განვითარების მძლავრ საშუალებად გადაიქცა. პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტი, ასრულებდნენ რა პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებებს, მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გასაშლელად, სოციალურად აქტიურ, ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანთა აღსაზრდელად. ამ მუშაობამ თავისი კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა იმ წარმატებებში, რასაც სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა X ხუთწლედის დავალებათა შესრულებით მიაღწიეს...

სამხრეთ ოსეთში 215 ფიზკულტურული კოლექტივია, რომელშიც 22338 კაცია გაერთიანებული. 1979 წელს შესრულდა სპორტის ოსტატების, ოსტატობის კანდიდატთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები. ძალოსნები ა. ჯაგაევი და ა. მედოევი სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ჭაბუკთა შორის, ბ. ჭიოტაშვილი II საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ვერცხლის პრიზიორია.

მოკრივეები ჯ. ქოქოევი, ა. ბიჭიკაშვილი და ფ. ალბოროვი საქართველოს ჩემპიონის სახელს ატარებდნენ.

გაზეთ „პრავდის" პრიზის მოსაპოვებლად გამართულ ერთ-ერთ რესპუბლიკურ კროსში მძლეოსნებმა თბილისის გუნდის შემდეგ II ადგილი დაიკავეს.

ლენინგორელმა ძიუდოისტმა დ. ოდიშვილმა მოსწავლეთა XV

(დასასრული მე-2 გვ).

• •



„ქეთილ-ჰაოვანი"

თავშაქარა კავკასიონის მწვერვალებით გარშემორტყმული და მცხუნვარე მზით გამთბარი ველები, მთის ვიწრო ხეობები და ხმაურიანი ჩანჩქერები, სამკურნალო წყლები და ეგზოტიკური ტბები ოდითგანვე იპყრობდა ამ ლამაზი კუთხის სტუმართა ყურადღებას. ვახუშტი ბაგრატიონმა ასე აგვიწერა ცხინვალი — „ნიქოზის ჩრდილოეთ, დიდი ლიახვის კიდეზე, არს მცირე ქალაქი ქრცხილოვანი, კეთილ-ჰაოვანი". თვითონ სახელწოდება ცხინვალი ნათლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ უძველესი დროიდან აქაურობა რცხილის ხეებით ყოფილა დაფარული. ძველად ცხინვალზე გადიოდა ჩრდილო კავკასიიდან ქართლში მიმავალი გზა-ბილიკები, თოკით გადმოსასვლელები და სხვა. მაგრამ მათ, ცხადია, სტრატეგიული და სავაჭრო დანიშნულება ჰქონდა. ტურიზმი კი სამხრეთ ოსეთში ტურისტული ბაზების, კემპინგებისა და სასტუმროების ნაკლებობის გამო შედარებით გვიან განვითარდა. თუმცა 1955 წელს როკის უღელტეხილის გადმოვლით უკვე დაწესდა პირველი საკავშირო ტურისტული მარშრუტი № 44. ტურიზმი ძირითადად ვითარდებოდა სტიქიურად, ენთუზიასტების მიერ. ერთ-ერთი პირველთაგანი იყო სპორტის ოსტატი ალპინიზმში გიორგი დევიძე, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა ცხინვალელ ახალგაზრდებს, ხშირად, განსაკუთრებით ზაფხულში, საცალფეხო ბილიკებით თუ საურმე გზებით აცნობდა მათ ოლქის ბუნების ღირსშესანიშნაობებს. ტურიზმის განვითარების გადამწყვეტ მომენტად 1971 წლის 1 ივლისი ითვლება, როცა ტურიზმისა და ექსკურსიების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო შეიქმნა. ამის შემდეგ საქმე სწრაფად წავიდა წინ. დაიწყო ექსკურსიამძღოლების მეთოდური სწავლება, დამუშავდა მთელი რიგი ახალი მარშრუტები, შეიქმნა ტურისტული მოწყობილობების სპეციალური გამქირავებელი პუნქტი. 1977 წელს სოფელ ელბაჩითაში (ჯავის რაიონი) აშენდა ტურბაზა „ჯავა" 260 ადგილით. ერთი წლის შემდეგ დაარსდა საექსკურსიო ბიურო, გაიზარდა ინსტრუქტორთა რიცხვი, შეიქმნა საკონტროლო-მაშველი რაზმი. თვითმოქმედი ტურიზმის განვითარებისთვის ცხინვალში გაიხსნა საქალაქო ტურისტული კლუბი. 1979 წელს კი, გაიხსნა ცხინვალის ტურბაზა. სულ მალე სტუმრებს მიიღებს საექსკურსიო ბიურო ლენინგორში. ექსკურსიებისა და ტურიზმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ექსპედიცია გულმოდგინედ სწავლობს ოლქის ტურისტულ შესაძლებლობებს. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში სამხრეთ ოსეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე ტურისტულ მხარედ გადაიქცევა.

* * *

სურათებზე: ტურბაზა „ოსეთი" ცხინვალში; ტურისტული ბილიკებით...

მ. ალბოროვის ფოტოები.

● მშვილდოსნობა

„მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე



საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის მძლეოსნობის მანეჟში გათამაშდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" ტრადიციული პრიზი მშვილდოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის გუნდები.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი არბიტრი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. დავითაშვილი) და მანეჟის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რესპუბლიკის წლევანდელი პირველი ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარებულიყო.

სროლის ხაზზე გამოვიდა 39 მონაწილე. სეზონის დასაწყისისთვის შედეგებიც არ იყო ურიგო. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ქ. ლოსაბერიძე შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, ამიტომაც გამარჯვებას ბათუმელ სპორტის ოსტატს ო. ლადიგინას უწინასწარმეტყველებდნენ. მართლაც, მან მოიგო ყველა მანძილიდან სროლა, „მ-2" ვარჯიშში კი 2469 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულმა რესპუბლიკის 3 უმაღლესი მიღწევა აჩვენა: 30 მეტრზე სროლაში 341 ქულა მოაგროვა, 70 მეტრზე ასპარეზობაში — 309, 70X70 ვარჯიშში კი რეკორდს 7 ქულა მიუმატა.

შეჯიბრებამ იმედისმომცემი სპორტსმენებიც გამოავლინა: თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატები ლ. მაჩაბლიშვილი (2272 ქულა) და ლ. აფციაური (2269).

ვაჟების ტურნირში უფროსი თაობის 2 თბილისელი სპორტის ოსტატი — 34 წლის ა. კაპიტონოვი და 32 წლის ვ. ნაცვლიშვილი გამოდიოდა. ალექსიმ 2418 ქულით პირველობა მოიპოვა, ხოლო ვასილიმ 2322 ქულით — მესამე ადგილი. ა. კაპიტონოვმა ყველა მანძილიდან სროლაში ისახელა თავი. ვეტერანებს ღირსეული მეტოქეობა გაუწია თბილისელმა სპორტის ოსტატმა ლ. მჟავანაძემ, რომელმაც 20 ქულით გაუსწრო ვ. ნაცვლიშვილს.

ცალკეულ დისტანციებზე პრიზიორები გახდნენ: ლ. მჟავანაძე, თ. ეფრემოვი, შ. წიბლიაშვილი, ვ. ნაცვლიშვილი და გ. ბიჭიაშვილი (ყველა — თბილისი). ქალთაგან — ლ. აფციაური, ლ. მაჩაბლიშვილი, გ. ტოცკაია და ლ. მარტინოვა (ორივე — ბათუმი). საერთო ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა მშვილდოსნებმა.

რ. კაცობაშვილი.

* * *

სურათზე: დაიხრულ ფართან.

ე. ხუცურაულის ფოტო.

რინგზე — იუნიორები

ულიანოვსკში გაიმართა „ბურევესტნიკის" იუნიორ მოკრივეთა საკავშირო პირადი პირველობის შეხვედრები. რინგზე ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკების უძლიერეს მოკრივეებთან ერთად მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადისა და სხვა ქალაქების ტყავის ხელთათმანის მომავალი ოსტატებიც იბრძოდნენ — სულ 162 სპორტსმენი.

ასპარეზობაზე საქართველოს ღირსებას 6 მოკრივე იცავდა. მათგან ორმა საპრიზო ადგილები მოიპოვა. II საშუალო წონაში ვერცხლის პრიზიორი გახდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი **გ. ვაშაძე** (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ზ. გუნია), ხოლო 91 კგ-ს ზევით წონაში „ბრინჯაო" მოიპოვა ამავე სასწავლებლის მეორეკურსელმა **დ. შაქარაშვილმა** (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. გორგასლიძე).

სამხრეთ ოსეთი: შემდგომი ზრდის რგბი პერსპექტივა

„საქართველოს დიდი რკალი"

ფიზიკური აღზრდის კონკრეტული შინაარსი

დასასრული

საკავშირო სპარტაკიადაზე III ადგილი და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თავისუფალი სტილის მოჭიდავე ვ. პლიევს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი ხვდა.

სამბისტები თ. ტურიევი და გ. ქუძიევი, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები პ. თიბილოვი, ბ. ჩოჩიევი და დ. თუაევი „კოლმეურნის", ხოლო ვ. ქოზაევი და მ. თიბილოვი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები არიან.

ტრადიციად იქცა ცხინვალის საკავშირო ტურნირები კრივსა და თავისუფალ ჭიდაობაში, რომლებშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოველი და ლენინგრადელი სპორტსმენები.

სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებმა საქართველოს VII სპარტაკიადაზე წინა, V—VI სპარტაკიადებთან შედარებით, საერთო ჩათვლაში ერთი ადგილით წინ წაიწიეს — 12 გუნდს შორის VI ადგილი მოიპოვეს.

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მოკრივე ჯ. ქოქოევი, მძლეოსნები ე. გათიკოევი, ძ. ვალიევა, ვერცხლის მედლები დაიმსახურეს მძლეოსნებმა ზ. გუჩმაზოვამ, ზ. გობოზოვამ, მოკრივეებმა ა. ბიჭიკაშვილმა, ნ. ძაგოევმა, მოჭიდავე ა. ჯიოევმა, ძალოსნებმა ბ. ჭიოტაშვილმა და ო. მედოევმა. გვყავს ბრინჯაოს მედლების მფლობელებიც.

მოკრივეთა ნაკრებმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ძალოსნებმა — მესამე. მიუხედავად ამისა, სპორტის რიგ სახეობებში სუსტად ვიასპარეზეთ.

საქართველოს ნაკრებ გუნდებში შეყვანილია სამხრეთ ოსეთის ათობით სპორტსმენი. მათ აღზრდასა და დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვით პედაგოგებსა და მწვრთნელებს: დ. დადიანს, ყ. მარგიევს, ი. გრიქუროვს, გ. კოჩიევს, ა. გაგლოევს, ვ. კოზაევს, ს. გაბარაევს, ა. ჯალალოვს, ლ. ნანიევს, ს. ჩიგოევს, ვ. ქუმსიევს, ჯ. გოჩიაშვილს, გ. გაზაევს, შ. ნიკორაშვილს, ი. კულუხოვს, ნ. დოგუზოვს, ვ. დადიანს, გ. ჩიკვილაძეს, გ. დევიძეს, ზ. მღებროვს, ლ. თიბილოვს, ს. ბესტაევს, ი. ჯიოევს, კ. ბესთაევს...

ჩვენი ოლქის სპორტსმენთა მაჩვენებლების ზრდას ხელი იმანაც შეუწყო, რომ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა სპორტული ნაგებობებისა და მოედნების ქსელი. შარშანწინ მოეწყო ფეხბურთის 3, კალათბურთის 2 და ფრენბურთის 5 მოედანი. მწყობრში ჩადგა ტურისტული ბაზა, კრივის სკოლის ახალი დარბაზი. მიმდინარეობს ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის რეკონსტრუქცია, განზრახულია ლენინგორისა და ჯავის სტადიონების რეკონსტრუქცია.

მაგრამ ფიზკულტურამ და სპორტმა სათანადო გაქანება ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ოლქის ბევრ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ზოგან ჩაშლილია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, არ ტარდება შეჯიბრებები. მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობისათვის ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ მშთ კომპლექსის დიდ შესაძლებლობებს. ეს აიხსნება იმით, რომ ოლქი განიცდის სპორტული ინვენტარისა და ბაზების, განსაკუთრებით საცურაო აუზების ნაკლებობას.

სამხრეთ ოსეთის სპორტული ორგანიზაციების წინაშე ახალი, გაზრდილი მოთხოვნები დგას დღეს, განსაკუთრებით—საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ. მათ კვლავაც უნდა შეიტანონ შესაფერისი წვლილი რესპუბლიკის, ქვეყნის მომავალ წარმატებებში.



„დადიანის სკოლა"

— ერთ ტემპში ნუ მუშაობ, აფეთქდი!

— მსუბუქად იმოძრავე!

— სწორად გამალე ხელი!

ხანშესული, საოცრად მოძრავი კაცი მოკრივეთა შორის დადის. ზოგს ამხნევებს, ზოგსაც ახამუსებს, არცხვენს. ხანდახან მეჩვენება, რომ ზომაზე მეტად მკაცრია. მერე და მერე ამ მიმართვებში შეფარულ სითბოს და ინტიმს ვგრძნობ. ალბათ ამიტომ მისი სიტყვები ადრესატზე ასე ანდამატურად მოქმედებს.

რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი დიმიტრი დადიანი სამხრეთ ოსეთში კრივის ფუძემდებელია. ომი ერთი წლის დამთავრებული იყო, როდესაც ნაფრონტალი ვაჟკაცი ცხინვალში ჩამოვიდა და მეორე საშუალო სკოლაში დაიწყო მუშაობა ფიზკულტურის მასწავლებლად. მერე ნიჭიერი მოზარდები შეარჩია და კრივის სექცია ჩამოაყალიბა. რამდენიმე წელიწადში მისმა აღსაზრდელებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ჯერ ჩვენს რესპუბლიკაში, შემდეგ —მის გარეთაც. ერთმა მათგანმა რუსლან კოჩიევმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში საპრიზო ადგილი დაიკავა. მისმა თანაგუნდელმა ბაგრატ სანაკოევმა კი ქვეყნის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი იყო ზაურ კოზაევი.

ნათქვამია, დიდ გემს დიდი წყალი უნდაო. თანამედროვე პირობებში, როდესაც მეცნიერება ასე მჭიდროდ დაუკავშირდა სპორტს, მხოლოდ ენთუზიაზმით ფონს ვერ გახვალ. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შესაფერისი სპორტული ბაზა.

...ბაზის მშენებლობის დროს მრავალი პრობლემა წამოიჭრა. დიმიტრი დადიანი ერთი დღეც არ მოსცილებია კირითხუროებს. „საგუშაგოს" მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როდესაც რაიმე დეფიციტური მასალის შოვნა ჭირდა (ალბათ ამიტომაა, რომ ცხინვალელები სპორტსკოლას „დადიანის სკოლას" ეძახიან).

და აი, სპორტსკოლა მეორე წელია რაც გაიხსნა. მას აქვს სასტუმრო 35 კაცისათვის, ფინური აბანო, კეთილმოწყობილი სათავსოები. მოკლედ, ყველაფერი ის, რაზეც ოცნებობდნენ კრივის მოყვარულები.

თავდაპირველად განზრახული იყო აქ მხოლოდ მოკრივეებს ევარჯიშათ, მაგრამ რადგან ქალაქი ბაზების ნაკლებობას განიცდის, დიმიტრი დადიანმა ფართოდ გაუღო კარი ძალოსნებსა და მოჭიდავეებს.

დავინტერესდით, რომ განაპირობა ოსეთის მოკრივეების თვალსაჩინო დაწინაურება. სკოლის დირექტორმა გვითხრა:

— ამას მთლიანად მე ნუ დამაბრალებთ, აქ ბევრი ნიჭიერი მწვრთნელი და [illegible] ერთად [illegible]ბას...

სსრ კავშ[illegible] სპარტაკიადაზე [illegible]რების (უფროსი [illegible]) 11 წევრი[illegible]დან იყო. [illegible]ვებს. ეს კ[illegible] ნაბიჯია.

დღეს [illegible] ლება ამ [illegible] უფრო ფართო[illegible] ქმე მომავ[illegible]. მანამდე [illegible] მწვრთნელები და [illegible] მეტ სიქველეს [illegible] წარმატებებსაც [illegible]

ერთი ს[illegible]ა

ლითონს[illegible] მივყვებით. [illegible] ძალოსნობის [illegible] ივანე გრი[illegible].

— აქ [illegible] ანობამდე [illegible] ნეობიდან [illegible] ნებ.

ამ მო[illegible] ბევრი რამ [illegible] ბია, რომ [illegible] თვალსაჩინ[illegible]. ამას ივანე [illegible] თავის უფროს მ[illegible] რის ორგა[illegible] ობს, საერთ[illegible] სპორტის ოსტ[illegible] უმაღლის, [illegible] ბითაც მწვრ[illegible] იწყო. რო[illegible] დამოუკ[illegible]ლინების წვრთნას, უკვე ნასწავლს სხვაც ბევრი მიუმატა და წარმატებამაც არ დააყოვნა. 1976 წელს 26 წლის ჭაბუკს ოლქის უფროსი მწვრთნელობა ანდეს. 1977 წელს საბჭოთა კავშირის II ახალგაზრდულ თამაშებში ბიჭიკო ჭიტაშვილმა მეორე ადგილი მოიპოვა. 1—2 წლის შემდეგ საკავშირო პირველობაზე არხანგელსკში ჭაბუკებს შორის საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად ივანე გრიქუროვი დანიშნეს. ნაკრების 6 წევრიდან 4 ცხინვალელი იყო. მათგან ორმა, ალექსანდრე მედოევმა (90 კგ) და ალან ჯაგაევმა (110 კგ-ს ზევით) ჩემპიონობა მოიპოვა. ასეთი წარმატება ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნებს ჯერ არ ჰქონიათ.

დღეს მათ ნაკვალევზე მიაბიჯებენ ახალგაზრდა პერსპექტიული ძალოსნები ოლეგ და ახსარბეგ ტასოევები, ტარზან ქოჩოევი, გენადი კოკოევი, ვლადიმერ გასიევი, ვადიმ კაზიევი, ბორის პლიევი. ამათგან უმრავლესობა რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების წევრები, ხოლო დანარჩენები კანდიდატები არიან.

დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში მიღწეული წარმატებები უფრო მეტის იმედს გვაძლევს. 30 წელი ხომ მწვრთნელისთვის გაფურჩქვნის ასაკი გახლავთ. გვჯერა, რომ მისი შესაძლებლობების მწვერვალი ჯერ შორსაა.

სურათებზე: (ზემოთ) წვრთნას ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი დ. დადიანი; ძალოსანთა წვრთნა. მარცხნივ ი. გრიქუროვი.

ძმები...

ოსეთის წარმომადგენლებს ყოველთვის ჰქონდათ ადგილი „დაჩაგრული" საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერის თბილისის „დინამოს" გუნდში. ზოგი მათგანი საბჭოთა ნაკრების ღირსეული წევრიც ყოფილა. როცა ორჯონიკიძის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიდა, მასში უმთავრესად ცხინვალში გაზრდილ-დაფრთიანებული ბიჭები თამაშობდნენ.

სამხრეთ ოსეთში ფეხბურთის განვითარება უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება ორ ძმას გაბრიელ და ალექსანდრე გაგლოევებს. ისინი თავის დროზე საქართველოს ნაკრებში თამაშობდნენ. უმცროსი მეკარე იყო, უფროსი—ნახევარმცველი. ქ. ორჯონიკიძის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მათ მწვრთნელის რთულ საქმეს მოჰკიდეს ხელი და პარალელურად ცხინვალის გუნდის ღირსებასაც იცავდნენ. სწორედ არჩეულმა პროფესიამ ნაყოფი გამოიღო — მალე მათმა აღსაზრდელებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. უფროსი ძმის აღზრდილი ნიჭიერი მცველი გურამ ცხოვრებოვი თბილისის „დინამოს" რიგებში გამოდიოდა. გურამ ცხოვრებოვი მონაწილე იყო იმ „ოქროს მატჩისა", როდესაც თბილისის „დინამომ" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. დიდი ღვაწლი მიუძღვის გაბრიელს ორჯონიკიძის „სპარტაკის" უმაღლეს ლიგაში გადასვლის საქმეში (იგი ამ დროს ერთ-ერთი მწვრთნელი იყო). აქ თამაშობდნენ მისი აღზრდილები: სპორტის ოსტატები ნოდარ პაპელიშვილი, იგორ ბიჭიკაშვილი, შამილ გააევი. აქვე იყვნენ უმცროსი ძმის აღზრდილებიც ალბერტ პლიევი (მას ფეხბურთის ანბანი გაბრიელმა შეასწავლა), ომარ ჯიოევი, იგორ ძაგოევი და თეიმურაზ კოჩიევი (ყველა სპორტის ოსტატი).

უფროს ძმას ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა გუნდების მწვრთნელად. ხელმძღვანელობდა ცხინვალის „სპარტაკს", როცა ეს გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ბ" კლასში (ამიერკავკასიის ზონა) თამაშობდა. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ თბილისის „დინამოს" ახლანდელი წევრი გურამ ჩხარეული და მოსკოვის დინამოელი იური გაზაევი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის იგორ ცაკოევი და სხვანი.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ალექსანდრე გაგლოევმა მრავალი ფეხბურთელი გაზარდა. 50-ზე მეტი თამაშობდა საქართველოს ნაკრებში. მარტო 1969-70 წლებში რჩეულთა შორის მოხვდა 5 ცხინვალელი მოსწავლე, რომელთაგან გუნდის კაპიტანი მევლუდ რომელაშვილი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაშიც შეიყვანეს.

ძმები ახლაც ერთად მუშაობენ. უფროსი სამხრეთ ოსეთის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის დირექტორია, უმცროსი—მისი საქმის მოზიარე და თანამდგომი.

სურათებზე: მწვრთნელები გაბრიელ და ალექსანდრე გაგლოევები (ზემოთ) და მათი აღზრდილები.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს თაოსნობით 2 წელიწადში ერთხელ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე ეწყობა რესპუბლიკური პირველობის მონაწილე კლუბებისა და ბავშვთა ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება მიზნად ისახავს გუნდებსა და სპეციალიზებულ სკოლებში საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებას, ფეხბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას და, ყოველივე ამის ბაზაზე, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენას საქართველოს ოსტატთა გუნდების შესავსებად.

წლეულს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები მოეწყო ორ ნაკადად, წარმოებიდან მოწყვეტით. პირველ ნაკადში კურსებზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის პირველობის მონაწილე გუნდების მწვრთნელები, სულ 46 კაცი, მათგან 41-მა ჩააბარა გამოცდები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩასათვლელ გამოცდებზე არ გამოცხადდნენ გ. ხუციშვილი (წალენჯიხა), ბ. სევასტოპულო (ციათურა), ს. სტეფანიშვილი (საგარეჯო), ნ. გვასალია (ხობი), თ. ხუნაშვილი (გურჯაანი), რაც ეჭვის ქვეშ აყენებს მათი კვალიფიკაციის საკითხს.

მეორე ნაკადში კვალიფიკაცია აიმაღლეს რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლებში მომუშავე მწვრთნელებმა. კურსებზე გამოცხადდა 74 მწვრთნელი, მათგან მხოლოდ სამს არ ჩაუბარებია ჩათვლები (ო. წოწორია, ტ. გაბადაძე, გ. მორგოშია; ყველა—გაგრის სპორტსკოლა).

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებში მომუშავე მწვრთნელებმა ბევრად უკეთესი მომზადება გამოავლინეს, ვიდრე რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდების აღმზრდელებმა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ადგილებზე მწვრთნელთა კადრების სწორად შერჩევის საქმეს. ცხადია, ამ საქმეში პასუხი პირველ ყოვლისა უნდა მოეთხოვოს ადგილობრივ სპორტულ ორგანიზაციებს.

სემინარები კარგად იყო ორგანიზებული, რასაც ხელი შეუწყო ინსტიტუტის რექტორატის, კათედრებისა და მუდმივმოქმედი კურსების ხელმძღვანელთა მონდომებულმა მუშაობამ. მსმენელების წინაშე საინტერესო ლექციებით გამოვიდნენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები ა. ციბაძე, ა. რატია, შ. კახიძე, გ. ღვალი, ს. შუდრა, ზ. თელია, ფიზკულტურის კვლევითი ინსტიტუტიდან — ბ. თავართქილაძე, ა. არუწევი, თბილისის საქალაქო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი ო. ვორუბოვი.

მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება მომავალშიც იქნება საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ზრუნვის საგანი, ვინაიდან მასზე ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების საქმე. ახლახან ჩატარებული სემინარის შედეგებს ახლო მომავალში გავუკეთებთ საჭირო ანალიზს, საფუძვლიანად შევისწავლით, მას განიხილავს საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგია. სრული პრინციპულობით დადგება იმ მწვრთნელთა საკითხი, ვინც არასაპატიო მიზეზით აარიდა თავი საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებას, არ გამოცხადდა კურსებზე, რითაც ზიანი მიაყენა საერთო საქმეს — რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების შემდგომ გაუმჯობესებას, სწორედ იმ საქმეს, რასაც სპორტული ორგანიზაციებისგან მოითხოვს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებები.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

საერთო ენთუზიაზმი

დერეფანში დაგვეუფლა სასიამოვნო გრძნობა —ვის არ ნახავდით აქ: ჩვენი ქვეყნისა და ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონებს ნონა გაფრინდაშვილსა თუ ვასილ ალექსეევს, ბობი ბიმონსა თუ ვიქტორ სანეევს, მიხეილ ტალსა თუ ირინა დერიუგინას... სპორტდარბაზისკენ გზა გავაგრძელეთ.

— ეს ფოტოსტენდები მოსწავლეებმა თავისი ხელით გააკეთეს, ყველა კლასმა თითო, — გვეუბნება ფიზკულტურის მასწავლებელი ვაჟა გელდიაშვილი. — დიდი ენთუზიაზმი გამოიჩინეს, ცდილობდნენ ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ, ზოგმა საკუთარი სპორტული არქივიც კი გაძარცვა...

ნათელი დარბაზის კედლები სპორტული პლაკატებითა და ოლიმპიური პიქტოგრამებით დაუმშვენებიათ. ვრწმუნდებით, რომ აქ ფიზკულტურასა და სპორტს გულგრილად არ უყურებენ, რომ ამ გარეგნულ ბრწყინვალებას უსათუოდ თავისი შესატყვისი შინაარსიც აქვს. მართლაც, ცხინვალის № 6 საშუალო სკოლა თითით საჩვენებელია. ბოლო 8 წლის მანძილზე იგი მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაზე გუნდურ პირველ ადგილს იკავებს. თვალსაჩინო წარმატებები აქვთ მძლეოსნებსა და ფრენბურთელებს. ამ სკოლის ბაზაზე დაკომპლექტდა ოლქის ფრენბურთელთა ნაკრები.

— წარმატებაში არანაკლები დამსახურება მიუძღვით სხვა საგნის პედაგოგებს და დირექტორს ალექსანდრე ჯიკაევს, — გვეუბნება ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი, მძლეოსნობაში საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი როლანდ ჯაბიევი. დიდი ხანი არაა რაც აქ ვმუშაობ, მაგრამ უნდა გითხრათ, ფიზკულტურისა და სპორტის ასეთ მოყვარულთ სხვაგან არ შევხვედრივარ. უკანასკნელ წლებში ქალაქის სკოლის პედაგოგებს შორის გაზაფხულობით ტარდება სპარტაკიადა და ჩვენმა სკოლამ მხოლოდ ერთხელ დათმო პირველი ადგილი. წარმატების მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლები ხალისით ვარჯიშობენ სკოლის სპორტულ სექციებში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შიდასასკოლო სპარტაკიადა, რომელშიც პედაგოგები და მოსწავლეები მონაწილეობენ. ერთმანეთს უპირისპირდება გამოცდილება და დაუოკებელი ენერგია. ჯერჯერობით გამოცდილება იმარჯვებს. პედაგოგები მხოლოდ კალათბურთში დამარცხდნენ...

* * *

სურათებზე: (მარცხნივ) ამზადებენ სტენდს; მაგიდის ჩოგბურთელები მორიგი ვარჯიშისას.



თანამოაზრი

ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტის ალექსანდრე გალეგაშვილის კაბინეტში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ფოტოსტენდზე გამოკრულმა სურათმა, რომელზეც გამოსახული იყო საწარმო ნარჩენების გროვები და ძალიან ჰგავდა ფოტობრალდებას. ვერ მივხვდით, ამ სურათს რა საერთო უნდა ჰქონოდა დანარჩენებთან.

— ეს ჩვენი სპორტული კომპლექსის უწინდელი ტერიტორიაა, — წამოგვეშველა მასპინძელი. — აშკარად ესიამოვნა სულ ახლახან ნანახ მშვენიერ კომპლექსსა და ამ სურათს შორის საერთო რომ ვერ აღმოვაჩინეთ.

ალექსანდრე გალეგაშვილმა რამდენიმე წლის წინ დაიწყო აქ მუშაობა. დაიწყო, მაგრამ მაშინ ქარხანას არც ერთი მარტივი ტიპის მოედანი [illegible]ტის კატეგორი[illegible] მოწყობი[illegible] ციამ [illegible] — ჩვენს სა[illegible] ასეთ კ[illegible] რომ მო[illegible]ლიმდე მიიყვ[illegible] შეიძლებოდა [illegible] კა მოთხო[illegible] მალე და [illegible] სპორტულ[illegible] წყობაც [illegible] გამოიყოფა [illegible] შეჯიბრებე[illegible] წარმოო[illegible] შეჯიბრებებ[illegible]ში, კალათბ[illegible]ბურთში.

საერთო [illegible] და წამოწ[illegible] ვირგვინებ[illegible]ბში მუშა-მოსამსახურეთა ფართოდ ჩაბმას; ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა ჭადრაკის, ტყვიის სროლის, ფრენბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის სექციებმა. შედეგმაც არ დააყოვნა, საწარმოს ფიზკულტურელები „განთიადის" საოლქო პირველობაზე საპრიზო ადგილებზე გამოდიან.

— ამჟამად დღის წესრიგში დგას ღია საცურაო აუზის აშენება, — გვითხრა ალექსანდრე გალეგაშვილმა, — უკვე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები. ამ საშვილიშვილო საქმეში მხარში გვიდგას ქარხნის დირექტორი ფელიქს ბეკოევი და მისი მოადგილე შოთა არჩვაძე. მინდა მადლობა გადავუხადო „განთიადის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს უშანგი მარგიევს, რომელიც როგორც პრაქტიკულად, ისე რჩევა-დარიგებით, ჩვენი საქმის თანამოზიარეა.

* * *

სურათებზე: ვარჯიშობენ ქარხნის ფიზკულტურელები.

სამხრეთ ოსეთში დღეს:

● სტადიონი — 1, ● ფეხბურთის მოედანი—15, ● ფრენბურთის მოედანი— 87, ● კალათბურთის მოედანი — 61, ● ხელბურთის მოედანი — 11, ● სპორტული დარბაზები — 38;

● ფიზკულტურული კოლექტივების რაოდენობა — 215,

● ფიზკულტურელთა — 22338,

● გასულ წელს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა 6 სპორტსმენს, ● სპორტის ოსტატობის კანდიდატისა —29-ს.

ცხოვრებას მხარს უბამთ

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, რომელიც 1977 წლის 2 ივლისს ჩატარდა, სტიმული მისცა ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნას. ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, მან კარგად იცის, თუ რა გაკეთდა აქტივის კრების დადგენილების ცხოვრებაში გატარების შედეგად, იმ სასიკეთო ძვრებზე, რომელიც ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლებში შეიმჩნევა, გვესაუბრება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ყაზბეგ კოჩიევი.

— რესპუბლიკის აქტივის კრების შემდეგ, — ამბობს კოჩიევი — ოლქში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გასაუმჯობესებლად კონკრეტული ამოცანები დაისახა. „კოლმეურნე" ერთ-ერთი [illegible] ორგანიზაციაა, [illegible] ღონისძიებ[illegible]ნიანობრ [illegible] ფიზ[illegible] სპორ[illegible]მობის [illegible]ობმა. [illegible] დღემდე [illegible] გადა[illegible] ლობზე [illegible] ლოკა[illegible] ბაში.

— [illegible] ხაზგასმით [illegible] ჩვენმა სპორ[illegible] საპრიზო ადგილ[illegible] „კოლმეურნის" [illegible] ცენტრა[illegible] ბებში. [illegible] წლიდ[illegible] თავის [illegible] ბას, [illegible] და [illegible]ბები [illegible] ზემდ[illegible]ორგანო [illegible] გასაკვირი აღარ არის, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა საგრძნობლად იმრავლეს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. მაგალითად, ძალოსანი ბიჭიკო ჭიტაშვილი სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორიც გახდა. სხვადასხვა ასაკის კოლმეურნეები და მათი ოჯახის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ისეთ მასობრივ ღონისძიებებში, როგორიცაა „ჯანმრთელობის სპარტაკიადა" ან სოფლად გამართული ცალკეული შეჯიბრებები და ამხანაგური შეხვედრები. სოფლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგრეთვე სპორტის ეროვნულ სახეობებს. ისევ სტატისტიკას დავუბრუნდები: 52 ფიზკულტურულ კოლექტივში ექვსი ათასამდე სოფლის მშრომელია გაერთიანებული. მარტო X ხუთწლედის ბოლო წელს მომზადდა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 17 ოსტატობის კანდიდატი, 70 პირველთანრიგოსანი, ოთხიათასამდე მშთ ნიშნოსანი. სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში X ხუთწლედში წინა ხუთწლედთან შედარებით სამჯერ მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მონაწილეობა.

წარმატებები ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში დიდადაა დამოკიდებული სპეციალისტებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების უნარიან განაწილებაზე, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე. წინა წლებში ეს ერთ-ერთ პრობლემად ითვლებოდა. ჭიანურდებოდა კოლმეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტის შტატის გამოყოფა. ახლა როგორია საქმე?

— აქტივის კრებამდე მთელ ოლქში მხოლოდ ოთხი ფიზკულტურის მეთოდისტი მუშაობდა სოფლად. დღეს ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში გვყავს ხელფასიანი ფიზკულტურის მეთოდისტი, მაგრამ ჩვენს ძირითად დასაყრდენს ისევ და ისევ საზოგადოებრივი აქტივი წარმოადგენს. მოწინავეთა შორის უნდა დავასახელო ლენინგორის, ერედვის, ჯავის, ზნაურის, თამარაშენის საბჭოთა მეურნეობების მეთოდისტები ე. ოდიშელი, ნ. ქრისტესიაშვილი, უ. ბათიკაევი, გ. ხიმშიაშვილი და რ. ცხოვრებოვი. ერედველი სპორტის ოსტატი ნ. ქრისტესიაშვილი საქართველოს VI სპარტაკიადის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში. ნუგზარი შესანიშნავ მაგალითს აძლევს თანასოფლელ ახალგაზრდებს. სპეციალისტების შერჩევა-განაწილებას დიდი გულისყურით ვეკიდებით, სპორტულ წარმატებებს სწორედ მათი დიდი გარჯის შედეგად ვაღწევთ.

აქვე უნდა ითქვას სპორტული ბაზების შესახებ. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს სპორტული ბაზების ეფექტურად გამოყენებისათვის? ამ საკითხზე ხომ პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტშიც არის გამახვილებული ყურადღება.

— კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გასულ ხუთწლედში გატარდა, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებასაც ისახავდა მიზნად, მაგრამ ჩამორჩენა იმდენად დიდი იყო, რომ ბაზების პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას. ვცდილობთ ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული ბაზები. შარშან „კოლმეურნის" საოლქო საბჭომ ზემდგომი ორგანოების დახმარებით ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა გახსნა. ჯგუფებს სახეობების მიხედვით, ცხადია, მთელს ოლქში გავანაწილებთ. ახალ ხუთწლედში ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ. ყველაფერს ვილონებთ, რათა მხარი ავუბათ დროის მოთხოვნებს.

სამხრეთ ოსეთისადმი მიძღვნილი მასალები მოამზადეს გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" კორესპონდენტებმა მიხეილ ზურაბიშვილმა, ვლადიმერ მელქოევმა და „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა ჯემალ კაკრაძემ.

● ფეხბურთი

მოსკოვის „სპარტაკი" თბილისში

კ. ბესკოვი: „იმედს არ გაგიწბილებთ"

როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, მოსკოვის „სპარტაკი" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩს მადრიდის „რეალთან" თბილისში 4 მარტს გამართავს. გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა „სპარტაკის" ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელიც საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის ჩვენს დედაქალაქში განაგრძობს მზადებას.

„ლელოს" კორესპონდენტები აეროდრომზე დახვდნენ სტუმრებს და ესაუბრნენ სპარტაკელთა უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **კ. ბესკოვს.**

● **როგორ ემზადებოდა „სპარტაკი" ესპანელებთან თამაშისთვის?**

— ჩვენთვის ამ მხრივ ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეხვედრებს „ნედელიას" პრიზზე, სადაც მთელი ყურადღება გუნდის შეთამაშებაზე გვქონდა გადატანილი. საქმე ისაა, რომ წლეულს სპარტაკელთა რიგებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა, მათ შორის ხიდიატულინი, იარცევი, კოკორევი და სხვანი. ამ ტურნირში სპარტაკელებმა რამდენიმე მატჩი კარგად ჩაატარეს. მათგან გამოვყოფ მატჩებს ჩეხოსლოვაკიის „სლავიასთან", სადაც გავიმარჯვეთ 5:4, უნგრეთის მტკ-სთან — 3:0 და, რაც მთავარია, მოსკოვის „ტორპედოსთან". ეს შეხვედრა მოვიგეთ დიდი ანგარიშით 4:0.

● **რა პრობლემები აქვს სადღეისოდ „სპარტაკს"?**

— ამაზე ნაწილობრივ უკვე მოგახსენეთ, დავუმატებ, რომ ტრავმების გამო კარგა ხანს ვერ ვარჯიშობდნენ დასაევი, შავლო, გავრილოვი, რომანცევი. მართალია, ისინი დაგვიბრუნდნენ, მაგრამ ჩვეულ სპორტულ ფორმაში შესვლამდე გარკვეული დრო დასჭირდებათ.

ახალგაზრდობას, გუნდის ღირსების დაცვა რომ მიენდო, საერთაშორისო შეხვედრების პრაქტიკა ნაკლები აქვს. აქ კი, ვფიქრობ, დიდად დაგვეხმარებიან ძმები მაჩაიძეები, რომლებიც ჩვენს გუნდში მოვიდნენ. მათი დიდი გამოცდილება და მაღალი ოსტატობა ალბათ შეგვავსებინებს ამ ხარვეზებს. ყველა ამ დაბრკოლების მიუხედავად, „სპარტაკი" მაინც „სპარტაკია" და მას ყოველთვის თან ახლავს დიდი ბრძოლისუნარიანობა. პირობას გაძლევთ, რომ 4 მარტს თქვენს შესანიშნავ სტადიონზე არ გაგაწბილებთ...

● **რადგან სიტყვამ მოიტანა, რა აზრისა ხართ თბილისელ მაყურებელზე?**

— ჩემი აზრით, თბილისელი მაყურებელი შესანიშნავად ერკვევა თამაშის ნიუანსებში, სათანადო რეაგირებასაც ახდენს. როცა გავიგეთ, რომ თბილისის „დინამო" თასების მფლობელთა თასის პირველ მატჩს სტუმრად ატარებს, ჩვენი უყოყმანო გადაწყვეტილება იყო თქვენს ქალაქში თამაში.

● **ვარჯიშის გარდა 4 მარტამდე რა გეგმები გაქვთ?**

— 22 თებერვალს შევხვდებით თბილისის „დინამოს". ვფიქრობთ, ეს „სპარინგ-მატჩი" ორივე მხარეს დიდ სარგებლობას მოგვიტანს: „ვესტ-ჰემთან" შეხვედრის წინ თქვენებსაც აკლიათ სათამაშო პრაქტიკა. ასე რომ, სიამოვნებით ვიწვევთ ყველას ამ მატჩზე.

საუბარი ჩაიწერა
უ. ჟიჟინაძემ.

• • •

სურათებზე: კ. ბესკოვი; მოსკოვის სპარტაკელები თბილისის აეროპორტში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ვის შეხვდება „დინამო"?

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ გვაცნობა წილისყრის შედეგები, რომლის მიხედვითაც გაირკვა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მერვედფინალისტთა წყვილები.

თბილისის „დინამო" ამ ეტაპზე ესტუმრება VIII (ერევნის) ზონაში მეორე ადგილზე გასულ გუნდს (აქ გამოდიან ერევნის „არარატი", მოსკოვის „ტორპედო", ხარკოვის „მეტალისტი", ოდესის სკა, ვოლგოგრადის „როტორი" და კოსტრომის „სპარტაკი").

IV (კისლოვოდსკის) ზონაში (სადაც ლანჩხუთის „გურია" გამოდის), გამარჯვებული გუნდი მიიღებს VI (დუშანბეს) ზონაში გამარჯვებულს.

III (ლენინგრადის) ზონაში (თამაშობს ქუთაისის „ტორპედო") II ადგილზე გასული გუნდი მიიღებს V (მოსკოვის) ზონის გამარჯვებულს.

სხვა გუნდები ასე დაწყვილდნენ: VII (სიმფეროპოლის) ზონაში II ადგილი — VIII (ერევნის) ზონის გამარჯვებული, VII (სიმფეროპოლის) ზონაში გამარჯვებული — V (მოსკოვის) ზონაში II ადგილზე გასული გუნდი, მოსკოვის „სპარტაკი" — II (სოჭის) ზონის გამარჯვებული, (აქ გამოდის სამტრედიის „ლოკომოტივი"), I (უჟგოროდის) ზონის გამარჯვებული — ამავე ზონაში II ადგილზე გასული გუნდი, VI (დუშანბეს) ზონაში II ადგილზე გასული — III (ლენინგრადის) ზონის გამარჯვებული.

* * *

სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში (ლენინგრადის ჯგუფი) გაიმართა კიდევ 2 მატჩი. ლენინგრადის „ზენიტმა" ანგარიშით 4:1 დაამარცხა ვოროშილოვგრადის „ზარია", ხოლო ბაქოს „ნეფთჩიმ" მოუგო ხაბაროვსკის არმიელებს — 2:1.

მადრიდის „რეალი" — თასის ექვსგზის მფლობელი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა მეტოქეა ესპანეთის განთქმული გუნდი „რეალი" (მადრიდი). თქმა არ უნდა, სპარტაკელებს მადრიდელთა სახით შეხვდა ძლიერი, გამოცდილი მეტოქე, რომელსაც წარმატება საერთაშორისო ტურნირებში „ჩვეულებად" აქვს ქცეული. ამ ორი გუნდის მომავალი შეხვედრები საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრშია.

მოსკოვის „სპარტაკს" ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს, ახლა კი გვინდა მკითხველს გავაცნოთ მადრიდის „რეალი". რასაკვირველია, ჩვენს ინტერესს ისიც აღვივებს, რომ მეოთხედფინალის ეს უაღრესად საინტერესო პირველი მატჩი 4 მარტს შედგება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე.

„რეალ-მადრიდის" ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ კლუბი შეიქმნა 1902 წელს, თანაც ზუსტად მარტში, ე. ი. მას ახლა 79 წლის იუბილე აქვს.

„რეალი" ესპანეთის პროფესიული ლიგის ერთ-ერთი ფუძემდებელია, უწინ იგი გამოდიოდა მადრიდის „ველოდრომ სიუდად ლინეალის" სტადიონზე, შემდეგ კი, 1947 წელს, კლუბის მეპატრონემ, მსხვილმა მრეწველმა ს. ბერნაბეუმ მადრიდში ააშენა 90-ათასიანი სტადიონი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა. ესპანეთის ეროვნულ ჩემპიონატებს საფუძველი ჩაეყარა 1928 წლიდან, „რეალი" თავიდანვე პრიზიორთა შორის იყო, მერე კი, 1932 და 1933 წლებში, ზედიზედ მოიპოვა ჩემპიონობა. შემდგომში მადრიდელთა გუნდი კარგა ხნით ჩრდილში მოექცა, მაგრამ 50-იანი წლებიდან დაიწყო მძლავრი აღზევების ხანა, რომლის დროსაც „რეალი" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი იყო. უდიდესი ფინანსური შესაძლებლობები კლუბის დირექტორატს საშუალებას აძლევდა შეეძინა ექსტრა-კლასის, პირველხარისხოვანი ფეხბურთელები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. ასე გამოდიოდნენ „რეალის" რიგებში არგენტინელი დი სტეფანო, ფრანგი კოპა, ურუგვაელი სანტამარია, უნგრელი პუშკაში, ბრაზილიელი დიდი, შვედი სიმონსონი. მადრიდელებს ახლაც ჰყავთ მიწვეული ფეხბურთელები — კანინგჰემი (ინგლისიდან) და შტილიკე (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან). ამას გარდა, კლუბს მუდამ ჰყავდა ბრწყინვალე ესპანელი ფეხბურთელები (ზამორა, ჰენტო, დელ სოლი, ამანსიო, სანჩესი, გროსო, ველასკესი, პირი და სხვანი).

საოცარია „რეალის" მიღწევები ევროპულ საკლუბო ტურნირებში. მან ექვსჯერ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და ეს რეკორდი, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით მიუღწეველია (1956-57-58-59-60, 1966 წლები). ამას გარდა, გუნდი ორჯერ იყო ამ ტურნირის ფინალისტი.

სტატისტიკოსები იტყობინებიან, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე „რეალმა" გამართა 419 საერთაშორისო მატჩი, რომელთაგან 250 მოიგო, 95 წააგო და 74 ფრედ დაამთავრა.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ ბოლო წლებში მადრიდელთა წარმატებებმა იკლო. ასე, მაგალითად, 1976, 78 და 79 წლებში მათ ჩემპიონთა თასზე მხოლოდ მერვედფინალს მიაღწიეს, შარშანდელ გათამაშებაში ნახევარფინალში გავიდნენ, მაგრამ აქ წააგეს პორტუგალიის „პორტოსთან". „რეალს" ვერც ეროვნულ ჩემპიონატში აქვს კარგად საქმე: ჩემპიონის წოდებას კლუბი, ალბათ, გამოეთხოვება. მიმომხილველები აღნიშნავენ გუნდის სხვადასხვა რგოლის შეუთანხმებლობას, ესპანეთის ჩემპიონატში „რეალი" განსაკუთრებით სუსტად თამაშობს სტუმრად: 12 გასვლითი შეხვედრიდან გუნდმა წააგო 7.

მადრიდის „რეალში" ახლაც გამოდიან ცნობილი ფეხბურთელები. კანინგჰემი და შტილიკე ვახსენეთ, მათს გარდა წამყვანი ძალაა შუა ხაზის მოთამაშეები სანტილიანა და ანხელი, რომლებიც ფაქტიურად განაგებენ „რეალის" კომბინაციურ მოქმედებას შუა მინდორზე. ძალზე საიმედო, სტაბილურია მეკარე რემონი, ხშირად მონაწილეობენ იერიშებში განაპირა მცველები, განსაკუთრებით მარჯვენა მცველი ს. გარსია. „რეალის" მწვრთნელმა ვუიადინ ბოშკოვმა განაცხადა, რომ „რეალის" უმთავრესი იმედი წლეულს ჩემპიონთა თასზე წარმატებით მონაწილეობაა და ყველაფერი უნდა გააკეთოს თუნდაც ნახევარფინალში გასასვლელად, თუმცა მეოთხედფინალში მას „სპარტაკის" სახით ძლიერი მეტოქე შეხვდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მადრიდის „რეალს" სულ 4 მატჩი ჰქონია საბჭოთა გუნდებთან. 1970 წლის 23 აგვისტოს ესპანეთის ქალაქ უელვაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ სწორედ დღევანდელი მეტოქეები — „რეალი" და „სპარტაკი". გაიმარჯვეს მადრიდელებმა — 2:1. 1973 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში „რეალი" ორჯერ შეხვდა კიევის „დინამოს". პირველი მატჩი ოდესაში 7 მარტს დამთავრდა ფრედ — 0:0, ორი კვირის შემდეგ კი მადრიდელებმა თავიანთ სტადიონზე გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. დაბოლოს, 1975 წლის 29 აგვისტოს ქ. კადისის (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირზე „რეალმა" მოუგო მოსკოვის „დინამოს" — 2:1.

ო. ნებიერიძე.

გ. ი. ბაბახანიძე

64 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გერონტი ირაკლის ძე ბაბახანიძე.

ბაბახანიძეს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა. 1940 წლიდან ფიზიკური კულტურის მასწავლებლად მუშაობდა თბილისის კიროვის რაიონის საშუალო სკოლებში.

1945 წელს ბაბახანიძე სათავეში ჩაუდგა თბილისის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის კალათბურთელ გოგონათა გუნდს, 1977 წლამდე თბილისისა და რესპუბლიკის მოსწავლე კალათბურთელ გოგონათა გუნდს წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით ქართველ გოგონებს მრავალგზის გაუმარჯვნიათ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადებსა და ახალგაზრდულ თამაშებზე. მისი აღზრდილებით დაკომპლექტდა უმაღლესი ლიგის თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდი. მის შეგირდებს არაერთხელ დაუცავთ საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებაც.

1978 წლის ნოემბრიდან კი ბაბახანიძე სათავეში ჩაუდგა 62-ე საშუალო სკოლაში კალათბურთელთა აღზრდის საქმეს, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

კარგი მწვრთნელისა და შესანიშნავი პედაგოგის, კალათბურთელთა მრავალი თაობის აღმზრდელის ხსოვნა მარად დარჩება მათ შორის, ვინც იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

საქართველოს სპორტკომიტეტი, ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლა.

● კალათბურთი

ექვსეულს მიღმა

რიგაში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური იმ გუნდებისთვის, რომლებიც VII-XIII ადგილებისთვის იბრძვიან. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტურნირში დაუმარცხებელი არ დარჩენილა არც ერთი გუნდი. ყველაზე მეტი — 4 მოგება აქვთ ტაშკენტის „უნივერსიტეტს", ტალინის „კალევს" და რიგის ვეფ-ს. დასკვნითი ტურის წინ, რომელიც ერთი თვის შემდეგ ტალინში შედგება, გუნდების მდგომარეობა ასეთია: ვილნიუსის „სტატიბასა" და მინსკის რტი-ს 46-46 ქულა აქვთ, „უნივერსიტეტს" — 44, „კალევს" — 42, კიევის სკა-ს — 41, ვეფ-ს — 40, ხოლო ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს" — 33.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" მე-7 ტირაჟებისა, რომლებიც 14 თებერვალს გაიმართა.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (17 ბარათი) მოგება 3220 მანეთია, ოთხისთვის (2280 ბარათი) — 34, სამისთვის (21399 ბარათი) — 6.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ბარათი) მოგება 8037 მანეთია, ოთხისთვის (3640 ბარათი) — 86, სამისთვის (59598 ბარათი) — 7.

მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 25 თებერვლიდან 25 მარტის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქაღალდზე, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

ИНДЕКС 66435

უე 07683